

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მომჩივანი: კ. ა. (პას. №...)

შემმოწმებელი: საბაჟო დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ, დ. გაბლიშვილის (სხდომის თავმჯდომარე), მ. ადგიშვილის, მ. ბარათაშვილის, მ. ბოლოთაშვილის, დ. გახარიას, შ. გვენეტაძის, გ. თინიკაშვილის, შ. კომლადის, დ. რუხაძის, გ. ფერაძის შემადგენლობით, 6.11.2019 წელს განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება კ. ა.-ის 16.08.2019 წელს რეგისტრირებულ საჩივარზე.

დავის საგანი:

საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის გადაადგილება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით

გასაჩივრებული გადაწყვეტილება:

1. საბაჟო დეპარტამენტის 30.05.2019 წლის №EL092330 სამართალდარღვევის ოქმი;
2. შემოსავლების სამსახურის 27.06.2019 წლის №21366 ბრძანება.

დარიცხული თანხა:

ჯარიმა - 5000 ლარი.

ფაქტების აღწერა

2019 წლის 30 მაისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში რეისით მოსკოვი-თბილისი ჩამოფრინდა ყირგიზეთის მოქალაქე კ. ა. საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ აღნიშნული პირი საბაჟო კონტროლის ზონას ტოვებდა „მწვანე დერეფნის“ გავლით, რა

დროსაც მოხდა მისი შეჩერება მებაჟე-ოფიცრის მიერ. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ განახორციელდა მომჩივნის კუთვნილი ხელბარგის დათვალიერება, რის შედეგადაც აღნიშნულ პირს აღმოაჩნდა არადეკლარირებული 11800 აშშ დოლარი და 500000 რუსული რუბლი. მითითებულმა თანხებმა მოცემული დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურად დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად შეადგინა 54528 ლარი.

აღნიშნულ სამართალდარღვევის ფაქტზე, საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ უფლებამოსილი პირის მიერ 30.05.2019 წელს შედგენილია №EL092330 საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, რომლითაც მომჩივანს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის, სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 5000 ლარი.

აღნიშნული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი 5.06.2019 წელს გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 27.06.2019 წლის №21366 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

დავების განხილვის საბჭო

საბჭომ მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ გასულია საჩივრის წარდგენის ვადა.

ამავე კოდექსის 305-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ მომჩივანს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში.

საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი, მე-3 ნაწილების და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,

1. საგადასახადო ორგანო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

3. დოკუმენტის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს საგადასახადო ორგანო.

6. წერილობითი დოკუმენტი ფიზიკური პირისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ დოკუმენტი ჩაჰბარდა ადრესატს პირადად.

მომჩივანი ითხოვს მოეხსნას დაკისრებული ჯარიმა, გაუქმდეს საბაჟო დეპარტამენტის 30.05.2019 წლის №EL092330 სამართალდარღვევის ოქმი და და მასზე შემოსავლების სამსახურში წარდგენილ საჩივარზე მიღებული 27.06.2019 წლის №21366 ბრძანება.

შემოსავლების სამსახურის 22.10.2019 წლის №129142-21-02 წერილის თანახმად შემოსავლების სამსახურის 27.06.2019 წლის №21366 ბრძანება ჩაბარდა პირადად ადრესატს 19.07.2019 წელს.

ამდენად, დგინდება, რომ შემოსავლების სამსახურის სადავო ბრძანება გადამხდელს ჩაბარდა 19.07.2019 წელს, მისი გასაჩივრების 20 დღიანი ვადა ამოიწურა 8.08.2019 წელს და საჩივარი დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილია 16.08.2019 წელს.

ვინაიდან, დარღვეულია შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრების 20 დღიანი ვადა საჩივარი, სსკ-ის 301-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველით უნდა დარჩეს განუხილველი.

საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

1. საჩივარი დარჩეს განუხილველი;
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

დათო გაბლიშვილი
სხდომის თავმჯდომარე